**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით**

**ეთიკის კომისიის**

**გადაწყვეტილება**

**დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე**

**მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორები:** მ. შ., ვ. მ., ო. წ., ა. გ.

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 28.02.2019

**საჩივრის რეგისტრაციის** №030/19

**საჩივარი შემოტანილია:** ადვოკატ ი. კ.-ის მიმართ /სიითი №/

**საჩივრის მოთხოვნა:** ადვოკატ ი. კ.-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

**I აღწერილობითი ნაწილი:**

1. **საჩივრის ავტორთა პოზიცია:**

1.1 2019 წლის 28 თებერვალს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს მ. შ.-მ, ვ. მ.-მ, ო. წ.-მ, ა. გ.-მ და მოითხოვეს ადვოკატ ი. კ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორთა განცხადებით, ადვოკატი ი. კ. საქართველოში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სახით მომრავლებული თაღლითების ჯგუფის წევრია, რომლებიც ცდილობენ მოსახლეობისაგან უკანონო ხერხებით ფულის მითვისებას და ხალხს აბუნტებენ მთავრობის წინააღმდეგ. ასეთ ჯგუფს მიეკუთვნება შპს „ნ.".

1.3 საჩივრის ავტორთა განმარტებით, შპს ,,ნ.-ის" ხელმძღვანელობა წავიდა უცხოეთში და საქართველოში თავის წარმომადგენლად დატოვეს ადვოკატები ი. კ. და მ. ყ..

1.4 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ისინი ორჯერ შეხვდნენ კომპანიის წარმომადგენლებს ი. კ.-სა და მ. ყ.-ს, რომლებმაც თაღლითური პირობები შესთავაზეს, თანდაპირველი ვერსიით შპს ,,ნ.-ის" დირექტორს 350 000 ლარი ჰქონდა დაზარალებულებისათვის დატოვებული და რადგან ეს თანხა ყველას ვერ დააკმაყოფილებდა, მშენებლობაში სთავაზობდნენ მის დაბანდებას, ბოლო ვერსიით კი ადვოკატებმა განმარტეს, რომ არ იცოდნენ ფული სად ინახებოდა.

1.5 განმცხადებელთა განმარტებით, ამ ორჯერ გამართული შეხვედრის შემდეგ ადვოკატები გაუჩინარდნენ, ტელეფონები გამორთეს და ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს მათთან - კრედიტორებთან. საჩივრის ავტორებმა ერთობლივად, როგორც დაზარალებულ კრედიტორთა ჯგუფმა მიმართეს ეროვნულ ბანკს და ფინანსურ პოლიციას, თუმცა მათ ქმედითი რეაგირება არ მოუხდენიათ.

**2. ადვოკატის პოზიცია:**

2.1 ადვოკატმა ი. კ.-მ 2019 წლის 11 მარტს წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოუდგინა ეთიკის კომისიას, სადაც აღნიშნა, რომ 2018 წლის 26 დეკემბერს მხარეებს შორის დადებული იურიდიული (საადვოკატო) მომსახურების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოადგენს შპს „ნ.-ს". საჩივრის ავტორები არიან მისი მარწმუნებლის კრედიტორები. ადვოკატის განმარტებით, მარწმუნებელთან წერილობით შეთანხმებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს კომპანიის გადახდისუნარიანობის შესახებ განცხადების მომზადება, რომელიც წარედგინება თბილისის საქალაქო სასამართლოს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, საჩივარი არ შეიცავს განხილვად მოთხოვნას, მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები არ შეესაბამება სინამდვილეს და მათი არსებობის შემთხვევაშიც კი, მათზე რეაგირება სცილდება ეთიკის კომისიის კომპეტენციას.

2.3 ი. კ.-ის განმარტებით, მას იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში არანაირი შემხებლობა არ აქვს საჩივარში დასახელებულ არცერთ პირთან, გარდა შპს „ნ."-სა და ი. ბ.-ს, რომელიც არის კომპანიის 100% - იანი წილის მფლობელი პარტნიორი და მისი დირექტორი. ადვოკატი უარყოფს ი. ბ.-სა და მისი კომპანიის მიერ თანხების და ოქროს მითვისების ფაქტს, ვინაიდან ამავე პირების მიმართ არ არსებობს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი თაღლითობისა და მითვისების თაობაზე, არც ამავე ბრალდებით მიმდინარე გამოძიება.

2.4 ადვოკატის განმარტებით, როგორც კომპანიის წარმომადგენელს, არც კანონით და არც ხელშეკრულებით, არ გააჩნია კომპანიის კრედიტორებთან კომუნიკაციის ვალდებულება, თუმცა, მარწმუნებლის ინტერესებიდან გამომდინარე, კომპანიის იურისტები რამდენჯერმე შეხვდნენ კრედიტორებს და მიაწოდეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კომპანია ვერ შეძლებდა ყველა კრედიტორის მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებას და აღნიშნული პროცესი გადაინაცვლებდა სასამართლოში კომპანიის გადახდისუუნარობის საქმის ფორმატში, 350 000 ლარი კი არის ის თანხა, რომლის მობილიზების შესახებ ადვოკატებს ზეპირი ინფორმაცია ჰქონდათ მარწმუნებლისაგან კრედიტორებთან შეხვედრების მომენტში.

2.5 ადვოკატის განმარტებით, გაცემული რწმუნებულებებისა და იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში მას არ გააჩნდა კომპანიის კუთვნილი თანხის რაიმე სახის ბიზნესში ინვესტირების უფლება და არც ასეთი შეთავაზება გაუკეთებია კრედიტორებისათვის. გამომდინარე იქედან, რომ კომპანიას არ გააჩნია დავალიანება სხვა პირების მიმართ, გარდა თამასუქებისა, გადახდისუუნარობის საქმის დაწყების ალტერნატივად შეთავაზებულ იქნა კომპანიის მიერ მობილიზებული თანხის კრედიტორებისათვის თანასაკუთრებაში გადაცემა მათი მოთხოვნების პროპორციულად, რასაც შედეგობრივად მოჰყვებოდა კომპანიის ვალდებულების შეწყვეტა. კრედიტორებთან კომუნიკაცია ხდებოდა მხოლოდ ამ მიზნით სპეციალურად გამოყოფილი მობილური ნომრიდან და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცვის ტაქტიკიდან გამომდინარე, კლიენტის მითითებით, ამას გადაწყვეტდა მის მიერ წარმოდგენილი მხარე.

2.6 ადვოკატის განმარტებით, კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების და ზოგადად მათი ინტერესების დაცვის არაერთი კანონით გარანტირებული საშუალება არსებობს და ისინი არ არიან შეზღუდულნი თავიანთ ქმედებებში, თავად კრედიტორების ასეთი ქმედებებისათვის დაბრკოლება არ შეუქმნია და ვერც შეუქმნიდა. შესაბამისად, განმცხადებელთა საჩივარი ორიენტირებულია არა მათთვის ხელსაყრელი შედეგის დადგომაზე, არამედ მიზნად ისახავს რევანშის მცდელობას და ადვოკატთა დისკრედიტაციას.

## სამოტივაციო ნაწილი

### 3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი ი. კ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი სიითი /N/ სპეციალიზაცია - საერთო სამართალი.

3.2 განმცხადებლებმა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს 2019 წლის 28 თებერვალს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

### 4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ი. კ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხსიმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30 მუხლის პირველი პუნქტით გათვლისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

### 5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საპროცესო კოლეგია გაეცნო საჩივრის ავტორისა და ადვოკატის პოზიციას და იმსჯელა ადვოკატ ი. კ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.1.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი: ,,საადვოკატო საქმიანობის პრინციპია - კანონიერება“.

5.1.2 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–6 მუხლის პირველი პუნქტი: „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით“.

5.2 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს კანონიერების პრინციპის დაცვით, რაც გულისხმობს იმას, რომ ადვოკატის სამოქმედო არეალი შეზღუდულია კანონის ფარგლებით. ადვოკატმა ყველა შესაძლო კანონიერი საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დასაცავად, მისი ინტერესები ნებისმიერი პირის ინტერესებზე მაღლა უნდა დააყენოს და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა.

5.3 ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ „ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კლიენტი და წარმოადგინოს მისი კანონიერი ინტერესები მხოლოდ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ადვოკატმა ყველა ღონე უნდა იხმაროს კლიენტის ინტერესების დასაცავად სასამართლოში, მაგრამ ეს მოქმედებები სასამართლოში დადგენილი ქცევის წესებით და პროცესუალური კანონმდებლობით არის განსაზღვრული, რისი დაცვის ვალდებულება ასევე ეკისრება ადვოკატს“. (იხ. ეთიკის კომისიის 2011 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე N010/10)

5.4 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატს არა თუ უფლება აქვს, არამედ ვალდებულია გამოიყენოს ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. ამასთან, ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს ორიენტირებული კლიენტზე და მიზნად ისახავდეს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვას.

5.5 განსახილველ შემთხვევაში ადვოკატი ი. კ. ახორციელებდა საჩივრის ავტორის მოპასუხე მხარის, შპს „ნ.-ის“ წარმომადგენლობას, შესაბამისად, მის მიერ კრედიტორებთან შეხვედრა, მათთვის გარკვეული სახის შეთავაზების წარდგენა თუ ნებისმიერი შინაარსის ინფორმაციის მიწოდება, ხდებოდა მარწმუნებლის სახელით. ადვოკატის პროფესიის არსი და ბუნება წარმოადგენს კლიენტის ინტერესების დაცვას და ადვოკატი ყოველთვის ატარებს პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის საპირისპირო ინტერესს. შესაძლებელია, მეორე მხარეს არ მოსწონდეს ის მეთოდი, რომლითაც ადვოკატი თავის კლიენტს იცავს, მაგრამ დაცვის სტრატეგიის არჩევა ადვოკატისა და მისი კლიენტის შეთანხმებით ხორციელდება.

5.6 რაც შეეხება საჩივრის ავტორთა პრეტენზიას ადვოკატის მიერ კრედიტორებთან სატელეფონო თუ ყოველგვარი კავშირის გაწყვეტასთან დაკავშირებით, კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატს პროფესიული სტანდარტი ავალდებულებს, კომუნიკაცია ჰქონდეს კლიენტთან, რათა მიაწოდოს სრული  და ამომწურავი ინფორმაცია საქმის მსვლელობასთან დაკავშირებით. აღნიშნული იმას ემსახურება, რომ ადვოკატი კლიენტთან შეთანხმებულად და მისი ინტერესების შესაბამისად მოქმედებდეს. ინფორმირების ვალდებულების არსიდან გამომდინარე, ადვოკატს იგივე ვალდებულება არ გააჩნია პროცესუალური მოწინააღმდეგე

მხარის მიმართ, ადვოკატს კლიენტის თანხმობის გარეშე ეკრძალება მოწინააღმდეგე მხარესთან კომუნიკაცია. შესაბამისად, ადვოკატ ი. კ.-ის მიერ პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარისათვის ინფორმაციის მოუწოდებლობა, არ წარმოადგენს ეთიკურ გადაცდომას.

5.7 საჩივრის ავტორთა პრეტენზიაზე, რომ ადვოკატი ი. კ. თაღლითური საქმეეების წამმართველია, კოლეგია განმარტავს, რომ ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის შეაფასოს, იკვეთება თუ არა ადვოკატის ქმედებებში სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ნიშნები. ეთიკის კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში აფასებს, რამდენად შეესაბამებოდა ადვოკატის მიერ განხორციელებული სადავო ქმედებები პროფესიული ეთიკის კოდექსით განსაზღვრულ, ადვოკატთა ეთიკური ქცევის წესს.

5.8 განსახილველ შემთხვევაში ადვოკატის მიზანი იყო კლიენტის - შპს „ნ.-ის" ინტერესების დაცვა. ადვოკატის მიერ მომსახურების გაწევაზე პრეტენზია არ განუცხადებია მის მარწმუნებელს, შესაბამისად, მის მიერ განხორციელებული პროცესუალური ქმედებები შეთანხმებული იყო კლიენტთან, მიზნად ისახავდა კლიენტის პოზიციის დაცვას, რაც არ ეწინააღმდეგება კანონიერების პრინციპს.

5.9 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ი. კ.-ის ქმედებაში არ დასტურდება „ადვოკატთა შესახებ „ კანონის მე-3 მუხლის „ა" ქვეპუნქტის და მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ეთიკური დარღვევის ნიშნები, შესაბამისად, ადვოკატ ი. კ.-ის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.10 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 33–ე მუხლით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

## III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N030/19 ადვოკატ ი. კ.-ის მიმართ /სიითი N/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/